პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-17 წელი.

№ 57 (1693) ○ ხუთშაბათი, 11 მაისი, 1961 წ. ○ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზეიმო...

საზეიმოა დღე დღევანდელი
და დიდი ყველა დღეზე,
დღეს მუხლს მოიყრის ყველა
ქართველი,
გეამბორება მკერდზე.

დღეს მუხლს მოიყრის ყველა
ქართველი,
შენზე მღერით და ლხენით,
სულზე ტკბილია შენი სახელი,
და თებერვალი შენი!

დგას გაზაფხული მზიან დარების
ფერულეველი, ვრცელი
გამარჯვებათა შემოჯარების
დგას მეორმოცე წელი.

მზემ სიხარული შემოგახარა
და სიმღერების დროა
მტკვარს მიაქვს შენი წმინდა
ჭაღარა
და სიჭაბუკე მოაქვს!

სვებედნიერი და ოქროსფერი
გაგნათებია გზები,
შენს თებერვალშიც დგას
ოქტომბერი,
დიდი ლენინის გზნებით.

მზე-კომუნიზმის ნათელი ავსებს
შენს ბაღჩა-ბაღებს, ველებს,
დიდება შენთვის დამსხვრეულ
დაშნებს!
შენს გადამრჩენელ ხელებს!

ჯ. ნინუა

საპატიო წოდება დამსახურებისათვის

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში უმწიკვლო მუშაობის, რესპუბლიკის და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების საიმედო ცვლის მომზადებისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა „საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის“ წოდება მიანიჭა:

გ. ევნატაშვილს, გ. ჩიკვაიძეს, გ. ბერიძეს, ნ. მახვილაძეს, კ. გრომოვს, ი. თავდიდიშვილს, შ. კილაძეს, კ. მალიშკოვს, ა. კონსტანტინოვს, ო. ლაკერბაის, ი. ბეზროდნის, ვ. რახმაძეს, მ. კლდიაშვილს, ა. ხანგულიანს, მ. თიკანაძეს, ი. ჩხარტიშვილს, ი. ბობოხიძეს, რ. ჩაჩავას, ლ. ტერტერიანს, გ. ნოდიას, კ. ზაუტაშვილს, შ. დიასამიძეს, ს. თორთლაძეს, ტ. სერგიაშვილს, მ. ერისთავს, გ. კალანდაძეს, გ. ჩიქოვანს, ი. მარჭაროვს, ვ. რამიშვილს, ზ. ინშბას.

ი. ფუნიკოვის უსანიშნავი მიღწევა

მოსკოვი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). ლენინგრადის სპორტის მოყვარულთა შორის უდიდესი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის უძლიერეს მოცურავეთა შეჯიბრებამ.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ საქართველოს მოცურავეებიც. მათი რიცხვიდან ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ი. ფუნიკოვმა. ბრასის სტილით ცურვაში 200 მეტრზე მან ფინალში დაიკავა პირველი ადგილი და აჩვენა 2 წუთი 39,4 წამი. ეს შედეგი საქართველოს ახალი რეკორდია და საუკეთესო შედეგი მიმდინარე წელს მსოფლიოში.

საბჭოთა საქართველო 40 წლისთავს ზეიმობს იმ ისტორიული დღის შემდეგ, რაც მოსკოვში, კრემლში, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის სახელზე მივიდა გ. კ. ორჯონიკიძის დეპეშა: „თბილისზე ფრიალებს წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“.

40 წელი პატარა მონაკვეთია ისტორიისათვის, მაგრამ ამ ხნის მანძილზე საქართველომ, მისმა მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ, მეცნიერებამ და კულტურამ განახორციელეს ისეთი რევოლუციური ნახტომი, რომელსაც მთელი ეპოქის მნიშვნელობა აქვს. მეფის რუსეთის განაპირა, ჩამორჩენილი კოლონიური ქვეყნიდან ჩვენი საშშობლო გადაიქცა მაღალინდუსტრიულ და საკოლმეურნეო რესპუბლიკად, რომელმაც კიდევ უფრო მაღლა ასწია თავისი მრავალსაუკუნოვანი კულტურა, სოციალისტურ საფუძვლებზე დაყრდნო იგი და შორს გაიტანა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

დღეს ჩვენი მრავალნახული საშშობლო საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში დგას მხრებგაშლილი და სვებედნიერი. მისი სიხარულის ზეიმს, მის დღესასწაულს ღვიძლი ძმებივით იზიარებენ საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხები და ახალ-ახალ გამარჯვებებს, კიდევ უფრო გრანდიოზული ნაბიჯებით წინსვლას, ულევ ბედნიერებას უსურვებენ მას.

დიდია საბჭოთა საქართველოს მშრომელთა მიღწევები განვლილი 40 წლის მანძილზე. მშობლიური კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით ქართველმა ხალხმა წარმატებით განვლო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ისტორიული ეტაპი და ახლა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად აშენებს კომუნიზმს.

ყველაფერი ეს, ეს მიღწევები პირველადია იმ მომავალი დიდი გამარჯვებებისა, რომლებსაც ქართველი ხალხი მოძმე ხალხებთან ერთად მოიპოვებს კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ფართო გზაზე.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს მის დიდ ეროვნულ დღესასწაულს!

ნახ. გ. იაშვილისა.

ᲨᲔᲛᲯᲐᲠᲘᲡᲐᲥᲝᲡ ᲡᲘᲡᲢᲐᲙᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ

თავისუფალი ჭიდაობა

სოხუმის „სპარტაკის“ დარბაზში სამ დღეს არ წყდებოდა მსაჯის სასტვენის ხმა და გულშემატკივართა გამამხნევებელი შეძახილები. აქ გამარჯვებისათვის იბრძოდნენ თავისუფალი სტილის I და II ჯგუფის მოჭიდავენი. პირველ ჯგუფში გამოდიოდნენ თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის, ქუთაისის ავტოქარხნის, სოხუმისა და გორის პედინსტიტუტების, ბათუმის „დინამოს“ IV კოლექტივისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გუნდები.

შეჯიბრება კარგად ჩაატარეს იბილისელმა სტუდენტებმა, რომლებმაც 8 წონითი კატეგორიიდან 5-ში მოიპოვეს პირველი ადგილი, ორში — მეორე და ერთში — უმჩატესში — მეოთხე ადგილი, რაც საკმარისი აღმოჩნდა საერთო გუნდური გამარჯვებისათვის. ქუთაისისა და სოხუმის კოლექტივებს დარჩათ მომდევნო ადგილები.

მეორე ჯგუფში 10 გუნდი გამოვიდა ხალიჩაზე. გამარჯვებისათვის იბრძოდა 5 ოსტატი, 24 პირველი და 41 მეორე თანრიგის სპორტსმენი, რომელთა შორის გამართულ 123 შეხვედრიდან 89 სუფთა გამარჯვებით, 3 აშკარა და 24 ქულების უპირატესობით დამთავრდა.

გუნდურ ჩათვლაში აქ უძლიერესი იყო თბილისის ინდუსტრიალური ტექნიკუმის კოლექტივი. მათ პირად შეხვედრებში 4 პირველი და 2 მეორე ადგილი მოიპოვეს, მეორეზე გამოვიდა ქუთაისის რკინიგზის კვანძის, მესამეზე — სოხუმის კოლექტივები.

აფროსნობა

საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით აფროსნები შეჯიბრებაში ჩაებნენ ბათუმში. სტარტზე გამოვიდა 5 კოლექტივი (თბილისის ორი, ბათუმის, სოხუმის და ფოთის გუნდები).

ქალთა შორის „ფინის“ კლასის შვერტბოტებზე პირველი ადგილი მოიპოვა ბათუმის ხის დამმუშავებელმა ქარხნის მუშამ გ. სერქენკომ. მომდევნო ადგილები წილად ხვდათ სოხუმელ ლ. ტეპლოვასა და თბილისელ ნ. ბახტაძეს.

ვაჟთა შორის ამავე სახეობაში უძლიერესი აღმოჩნდა რესპუბლიკის წამყვანი აფროსანი ბათუმელი გ. ჯალანდაძე.

„მ“ კლასის ნავებით ქალთა შეჯიბრება მოიგო ბათუმის კოლექტივმა (ლ. ბარამიძის, ს. გელეუვასა და ვ. შირიაევას შემადგენლობით). ბათუმელებს (ვ. კალფა, ლ. გრიგორიანი, ბ. მამფორია) დარჩათ უპირატესობა ვაჟთა შეჯიბრებაშიც, რამაც ამ ქალაქის კოლექტივს მოუტანა საერთო პირველი ადგილი. მეორე ადგილზეა თბილისის პირველი გუნდი, მესამეზე — სოხუმის კოლექტივი.

ი. კუსიდი

ნოდეგათა მინიჭება

საქართველოს კავშირის საბჭოთა საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმმა საკავშირო კატეგორიის საპატიო მსაჯის ნიშნით დააჯილდოვა: ნ. მუსასტიკოვი, სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა ხელბურთში დ. ცერცვაძეს (თბილისი, „ბურევესტნიკი“), საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება — ფრენბურთში ე. ხანოელაძეს კალათბურთში ბ. ხარჭოსოვს (თბილისი, „ბურევესტნიკი“), ჭიდაობაში ნ. ნინიაშვილს (თბილისი, „დინამო“), დამსახურებული მწვრთნელის წოდება ალპინიზმში — ო. გიგინეიშვილს (თბილისი, „ბურევესტნიკი“), ა. ივანიშვილს (თბილისი, „სპარტაკი“).

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმმა, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა:

მძლეოსნობაში თ. ფურცელაძეს, კ. ტუეშელაშვილს (ორივე თბილისი, „ბურევესტნიკი“), ი. რუხაძეს (თბილისი, „განთიადი“), ა. ვართანოვს (თბილისი, „ბურევესტნიკი“), ა. კრუჩკოვს (სოხუმი, „სპარტაკი“).

ᲖᲠᲓᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲖᲐ

ქართველი ხალხის ცხოვრებაში ყოველთვის დიდი ადგილი ეჭირა ფიზიკურ კულტურასა და სპორტს. ათასგვარი მტრის თარეში აიძულებდა ქართველ კაცს იარაღასხმული გაპყოლოდა გუთანს. ფარიკაობაში, მშვილდოსნობაში, ცხენოსნობასა და სპორტის სხვა სახეობებში დახელოვნება სწყვეტდა ადამიანია არსებობის ბედს.

ჩვენს წინაპართა შორის ფიზიკური ვარჯიშების განვითარებას ადასტურებენ არქეოლოგიური გათხრები, უცხოელი თუ ქართველი მემატიანეებისა და მხატვრების წერილობითი წყაროები და ჩანახატები.

XII საუკუნისა და შემდევნო პერიოდების (რუსთაველი, თეიმურაზ II, არჩილი და სხვ.) ლიტერატურული წყაროები უტყუარ ცნობებს გვაძლევენ საქართველოს იმ პერიოდის მაღალ სპორტულ კულტურასა და აღზრდის ორიგინალურ სისტემაზე.

რუსეთის ცარიზმის ბატონობის პერიოდში შეგნებულად სდევნიდნენ სპორტის ეროვნულ სახეობათა განვითარებას და მშრომელი ხალხი მოწყვეტილი იყო ფიზკულტურასა და სპორტს.

ქართული კულტურა და მასთან სპორტიც ჩამკვდარი იყო მენშევიკთა ბატონობის პერიოდშიც. მაშინდელი ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენი“ შორს იდგა შრომელი ხალხისაგან და პრივილეგირებული კლასის წარმომადგენელთა საკუთრებას შეადგენდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქართველი სპორტსმენები თიოქმის სრულებით ვერ გადიოდნენ საერთაშორისო სარბიელზე და მოკლებული იყვნენ უმაღლესი კლასის სპორტულ მაჩვენებლებს. გამონაკლისს შეადგენს ტანმოვარჯიშეების გ. ეგნატაშვილისა და გ. ბერელაშვილის ბრწყინვალე გამოსვლა პრაღის 1912 წლის საერთაშორისო შეჯიბრებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ 1915 წელს გ. ჩიკვაიძემ შტანგის ორი ხელით აკვრაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა ქვემსუბუქ წონაში.

ფიზკულტურა და სპორტი საბჭოეთ-ში ერთიანი სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ ორგანულ ნაწილად ჩამოყალიბდა. 1923 წელს მუშათა კლუბებთან შეიქმნა ფიზკულტურელთა პირველი წრეები და უკვე 1925 წლისათვის მათ რიცხვმა მიაღწია 96-ს, სადაც გაერთიანებული იყო 4 ათასზე მეტი კაცი.

სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის 23 ხექტემბრის დადგენილებამ ფიზკულტურული მოძრაობის მთავარ ამოცანად დასახა მისი ფართო დანერგვა მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ პერიოდიდან იკიდებს ფეხს საწარმოო ტანვარჯიში და სხვადასხვა სახის გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. ამ დადგენილების მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა გადასაწყვეტად შემუშავდა სრულიად საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისათვის“ პირველი საფეხური.

ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად 1936 წლის ივნისში საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან შეიქმნა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტი, ხოლო მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან — ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტები. ამავე წლიდან უალიბდება პირველი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში.

ფიზკულტურული მუშაობის საერთო ფერხულში წარმატებით ჩაებნენ ქართველი სპორტსმენებიც, რომლებმაც დიდების ფურცლებით შეამკეს საბჭოთა სპორტის ისტორია. ასეთთა რიგებში იყვნენ: ტანმოვარჯიშეები გ. რცხილაძე, გ. ბაბილოძე, ა. ჯორჯაძე, მძლეოსნები გ. შხვაცაბაია (ამუამად აკადემიკოსი), ნ. დუმბაძე, ბ. დიაჩკოვი, ფეხბურთელები ა. ყორდანია, შ. შავგულიძე, ბ. პაიჭაძე, მოჭიდავეები შ. ჩიხლაძე, კ. კობერიძე, ლ. ძეკოსკი, კალათბურთელები მ. ცხვედაძე, ლ. ფალავანდიშვილი, შ. ყიასაშვილი, მოკრივეები ლ. ღუდუშაური, გ. ვართანოვი, შ. გორგასლიძე, ძალოსნები მ. ყენტი, ვ. კალმახელიძე და სხვანი.

საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში მრავალი ქართველი სპორტსმენი მონაწილეობდა. ისინი თავდაუზოგავად იცავდნენ ჩვენს წმიდათაწმიდა მიწა-წყალს. ბევრი შეეწირა ამ საქმეს, ხოლო ბევრი ორდენებითა და შედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდნენ სახლში და მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩაებნენ.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ხაქმიანობის მშვიდობიან ლიანდაგებზე გადაეკანასთან ერთად სწრაფად აღორძინდა ფიზკულტურული და სპორტული მუშაობაც. მა-

★

გ. სიხარულიძე

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

★

რტო 1948 წელს საქართველოში ჩატარდა 8 ათასი სპორტული ღონისძიება 500 ათასი ფიზკულტურელის მონაწილეობით. მომდევნო წელს ამ ღონისძიებათა რიცხვი გაიზარდა ერთიორად. მახობრიობას არ შეიძლება თავისი გამოხატულება არ ეპოვა სპორტულ მაჩვენებლებშიც და შედეგმაც იჩინა თავი: 1949 წელს საქართველოში დამყარდა 218 რესპუბლიკური რეკორდი, მათგან 1 მსოფლიო (ნ. დუმბაძის რეკორდი ბადროს ტყორცნაში) და 10 საკავშირო.

1955 წლიდან საქართველოში ძირითადი კურსი აღებულ იქნა მასობრიობისა და ტექნიკის ზრდაზე. უკანასკნელ წლებში საქართველოში დაიწყო სპორტის ზამთრის სახეობათა (ჰოკეი, შაიბიანი ჰოკეი, ციგურები და ფიგურული სრიალი) კულტივირება. იხვეწება სპორტის ეროვნულ სახეობათა წესები, ეწყობა შეჯიბრებები აღნიშნულ სახეობებში.

ბავშვთა და მოზარდთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის უკეთ გაშლას, ათეულ ათასობით ჭალის ჩაბმას სპორტულ საქმიანობაში და ფიზკულტურულ საზოგადოებრივი აქტივის მრავალათასიანი არმიის ნაყოფიერ მუშაობას, არ შეიძლება თავისი როლი არ ეთამაშა ქართული სპორტის ხვედრითი წონის ზრდაზე საკავშირო თუ საერთაშორისო მასშტაბით.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ჩვენმა სპორტულმა დელეგაციამ ორჯერვე გუნდური მეხუთე ადგილი დაიკავა, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკათა შორის მოიპოვა მეხამე საპრიზო ადგილი. ეს სწორად დაყენებული ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვეს ოქროს 4, ვერცხლის 17 და ბრინჯაოს 21 მედალი. საპრიზო ადგილებზე გამოსვლისათვის დიპლომებით დაჯილდოდა 108 სპორტსმენი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ წლის კათამაშეების ფინალისტია. უკანასკნელი 5 წლის მანძილზე საქართველოში მეტი ოსტატი მომზადდა, ვიდრე ამ წოდების დაარსებიდან დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ სანორმატივო მოთხოვნები მნიშვნელოვნად გაძნელებული.

1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე საქართველოს 12 სპორტსმენიდან მოჭიდავე დ. ციმაკურიძე და ძალოსანი რ. ჩიშიშკიანი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და ოქროს მედლის მფლობელნი გახდნენ. ოქროსა და ვერცხლის მედლები ჩამოიტანა ტანმოვარჯიშე მ. ჯუღელმა, ვერცხლის მედლები — მძლეოსანმა ლ. სანაძემ, კალათბურთელებმა ო. ჭორქიამ და ნ. ჯორჯიკიამ, ბრინჯაოს მედლები — ნ. დვალიშვილმა და ნ. დუმბაძემ.

მომდევნო — მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები გახდნენ მოჭიდავეები გ. კარტოზია და მ. ცალქალამანიძე.

ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები განსაკუთრებული წარმატებით გამოვიდნენ 1960 წლის რომის ოლიმპიურ თამაშებზე. საბჭოთა კავშირის სპორტულ დელეგაციაში ამჯერად საქართველოს 16 სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას. ამ შეჯიბრებაზე ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობა მოიპოვეს მძლეოსანმა რ. შავლაყაძემ და მოჭიდავე ა. ჭორიძემ. ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ მოჭიდავე გ. სხირტლაძე, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრები კალათბურთელები გ. მინაშვილი და ვ. უგრეხელიძე. წყალბურთელები გ. ჩიქვანაია და ლ. გოგოლაძე. ბრინჯაოს მედლები გადაეცათ მოჭიდავეებს გ. კარტოზიას და ვ. რუბაშვილს, მოფარიკავე გ. კოსტავას.

მარტო ინდივიდუალურ ჩათვლაში საქართველოს სპორტსმენებმა დააგროვეს ქულათა უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე ბელგიამ, ირანმა, იუგოსლავიამ, ბრაზილიამ, აუსტრიამ და ა. შ. ხოლო მოპოვებული მედლების რაოდენობით უკან ჩამოვიტოვეთ ისეთი დიდი და მდიდარი სპორტული ტრადიციების მქონე ქვეყნები, როგორიცაა საფრანგეთი, ფინეთი, ჰოლანდია და სხვ.

საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში მონაწილე საქართველოს სპორტსმენებმა ღირსეულად გამოავლინეს თავი მსოფლიო ჩემპიონატებში სპორტის სხვადასხვა სახეობათა მიხედვით.

ქართველ კალათბურთელთა გუნდი ევროპის ჩემპიონთა თასის 1960 საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში, რომელმაც ევროპის 1960 წლის თასი მოიპოვა, თამაშობდნენ ჩვენი დინამოელები მ. მესხი და გ. ჩოხელი. ქართველ მთამსვლელთა მიერ უმაღლესი ხიძნელის ასვლების მოწყობამ დიდების გვირგვინით შეამკო საბჭოთა ალპინიზმი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მომხდარმა უდიდესმა ძვრებმა საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში თავისი გამოხატულება ჰპოვა ციფრობრივ მონაცემებშიც: დღეისათვის ჩვენს რესპუბლიკაში ითვლება 6.189 ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებშიც გაერთიანებულია მრავალი ათასი ფიზკულტურელი, 861 სპორტის ოსტატი, 56.977 პირველთანრიგოსანი, 15.825 მეორეთანრიგოსანი, 65.176 მესამეთანრიგოსანი.

ჩვენს მიერ მოპოვებული წარმატებანი წარმოუდგენელი იქნებოდა მშობლიური კომუნისტური პარტიის ყოველდღიური ზრუნვისა და დახმარების გარეშე; მარტო უკანასკნელი წლების მანძილზე ორჯერ იქნა მოწვეული რესპუბლიკის ფიზკულტურული აქტივი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ 1960 წლის 18 ივნისს მიიღეს დადგენილება „ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობასა და მის შემდგომ გაუმჯობესებაზე“, რაც ჩვენი შემდგომი მუშაობის საპროგრამო დოკუმენტს წარმოადგენს.

ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის კარგად დაყენებისა და სპორტულ შეჯიბრებებში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი მეორე წელია ინარჩუნებს საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს გარდამავალ დროშას.

საქართველოს სპორტსმენები მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსმენებთან ერთად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი ზრუნვის საპასუხოდ კიდევ უფრო გაზრდიან სპორტულ მაჩვენებლებს და მაღლა აიწევენ საბჭოთა სპორტის დროშას.

ლ ე ლ ო

მე-2 ᲒᲐᲖ. № 57 (1693)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. სიკორსკი—ფინიშთან პირველი

როგორც ცნობილია, 9 აპრილს თბილისში სტარტი აიღეს მრავალდღიანი ველოსიპედისტების მონაწილეებმა. ველოსიპედისტები გულთბილად გააცილეს და გამარჯვება უსურვეს ამ დიდი შეჯიბრების ინიციატორებმა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისა და სპორტკავშირის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა, სპორტსმენებმა და დედაქალაქის სპორტულმა საზოგადოებრიობამ.

მეხუთე ეტაპი (თბილისი-კიროვაბადი) რბოლის მთელ ტრასაზე ყველაზე გრძელი მონაკვეთია — 195 კმ. ცხელოდა, თაკარა მზე შეუბრალებლად აცხუნებდა, მეტად დაუჭირდა ველოსიპედისტებს სიჩქარის განვითარება, ამიტომ რბოლის ყველა მონაწილე ერთ ჯგუფად მიიწევდა წინ.

რუსთავი უკან დარჩა. ჯგუფი კი არ დაშლილა. მხოლოდ მე-80 კილომეტრზე შესანიშნავი ბიძგით წინ გაიჭრა 5 ველოსიპედისტი — ჯამალიანი, ზარიპოვი (სომხეთი), აგაევი, ბარანოვი და ხრაპკოვი (აზერბაიჯანი). ამრიგად, ლიდერი გამოეყო ძირითად ჯგუფს. ეს მომენტი კარგად გამოიყენეს აზერბაიჯანელებმა — ძირითად ჯგუფს სათავეში მოექცნენ და რბოლის ტემპი შეანელეს. მათი მიზანი ყველასათვის გასაგები იყო. ლიდერთა შორის 3 აზერბაიჯანელი იყო. თუ ძირითად ჯგუფში დარჩენილები სვლას შეაფერხებდნენ, ეტაპი მოგებული ექნებოდათ. აზერბაიჯანელთა გეგმების ჩაშლა პირველად თავაძემ მოიწადინა — წინ გაიჭრა, მაგრამ არა დიდი ხნით — მარტო სვლა ვერ შეძლო და მალე ძირითად ჯგუფში გაითქვიფა. თავაძის შემდეგ კვინიკაძემ სცადა ბედი. მას აზერბაიჯანელი ალიევი აედევნა. ჯგუფს გამოეყო სიკორსკიც (საქართველო) და ერთად შეუდგნენ პაერის წინააღმდეგობის დაძლევას.

აქ მოხდა ისეთი შემთხვევა, რომელიც იშვიათია მრავალდღიან ველორბოლაში. იმ ჯგუფს, რომელშიც სიკორსკი იყო, 8 წუთით უსწრებდა ლიდერთა ჯგუფი. უკვე გამოჩნდა კიროვაბადის შემოგარენი. სიკორსკიმ უმატა ტემპს, პარტნიორები მას ვერ აყვნენ. მაშინ მან მარტომ გადასწყვიტა ლიდერთა დაწევა. ველოსიპედზე გაწოლილი მეტეორის სისწრაფით მიიწევდა წინ და, თქვენ წარმოიდგინეთ, კიროვაბადის შესასვლელში დაეწია ლიდერთა ჯგუფს, გაასწრო და პირველმა გაჰკვეთა ფინიში.

სიკორსკის შემდეგ 13 წუთი გავიდა და გამოჩნდა ძირითადი ჯგუფი, რომელშიც იყო რბოლის ერთპიროვნული ლიდერი ავაქიანი (სომხეთი). როდესაც შეჯამდა შედეგები, გამოაცხადეს, რომ რბოლის ლიდერი თბილისელი სიკორსკია („კოლმეურნე"), იგი ახლა 5 წუთით უგებს ავაქიანს.

დღეს შედგება მე-6 ეტაპი.

ნ. გუგუშვილი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.



სურათებზე: მანქანა დამიზიანდა! ჭვევით — ასეთ მომენტებსაც ჰქონდა ადგილი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

I ქვეჯგუფის ლიდერმა — მახარაძის „სიხარულმა" თავის მინდორზე მიიღო სოხუმის „დინამო", ახალგაზრდა მოთამაშეებით დაკომპლექტებულმა სოხუმის გუნდმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ლიდერს და პირველი ტაიმი დაამთავრა ფრედ — 2:2. შესვენების შემდეგ უფრო გამოცდილმა მახარაძელებმა შეძლეს სტუმართა დამარცხება ანგარიშით 5:3.

თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა შეხვედრა ბათუმში ადგილობრივ „განთიადსა" და ხობის „კოლხეთს" შორის. ბათუმელებმა მეორე ტაიმში საჯარიმო დარტყმიდან გაიტანეს ბურთი, რომელმაც მათ მოუტანა გამარჯვება — 1:0.

თბილისში თამაშობდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი და ქუთაისის „იმერეთი". სტუდენტ ფეხბურთელებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ დაწყებიდანვე და მეორე ტაიმში ანგარიშმა მიაღწია 4:0-ს მათს სასარგებლოდ. ქუთაისელები მხოლოდ ამის შემდეგ გამოცოცხლდნენ და მატჩის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე გაქვითეს ორი გოლი.

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია მატჩმა ჩოხატაურში ადგილობრივ „ბახმაროსა" და ქობულეთის „შუქურას" შორის. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

თანაბარი ბრძოლით აღინიშნა მატჩი თელავის „კოლმეურნესა" და გეგეჭკორის „სალხინოს" შორის, რამაც შესაბამისი გამოხატულება ჰპოვა ანგარიშში — 3:3.

ჭიათურის ფეხბურთელებმა შედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ტყიბულის „მეშახტეს", მაგრამ მაინც დამარცხდნენ ანგარიშით 0:1.

ადიგენის „მექანიზატორმა" თავის მინდორზე მიიღო თბილისის არმიელთა გუნდი. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 1:1. შესვენების შემდეგ თავი იჩინა არმიელთა უპირატესობამ და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 4:2.

კარგად ჩაატარა თავისი მორიგი მატჩი ხუგდიდის „ოდიშმა", რომელიც ამ დღეს თავის მინდორზე შეხვდა თბილისის „სპარტაკს". ხუგდიდელებმა ითამაშეს კოლექტიურად, კარგი ურთიერთობით და მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 2:0.

რუსთავის „სპარტაკს" განვლილი ტურის მატჩი ჰქონდა ქუთაისში ადგილობრივი „შენებლის" წინააღმდეგ. თამაში დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1:1.

წულუკიძის „ფეიქარის" ფეხბურთელებმა სწრაფი ივრიშებით დაიწყეს შეხვედრა ცხაკაიას „განთიადის" წინააღმდეგ და შესვენებამდე გაიტანეს ერთი გოლი. მეორე ტაიმში მოწინააღმდეგეთა ჯარებში გატანილ იქნა თითო ბურთი და „ფეიქარმა" მიაღწია გამარჯვებას ანგარიშით 2:1.

სტალინირის „სპარტაკისა" და გორის „დილას" შეხვედრაში, რომელიც სტალინირში მიმდინარეობდა, გატანილ იქნა ერთი გოლი. მისი წყალობით სტალინირელებმა შეაღწიეს გამარჯვებას — 1:0.

თბილისში ერმანეთს შეხვდნენ II ქვეჯგუფის ლიდერი „გურია" (ლანჩხუთი) და თბილისის „ისანი". ლიდერმა კვლავ მაღალ დონეზე ჩაატარა თამაში და დაამარცხა მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:1.

მორიგ გამარჯვებას მიაღწია აგრეთვე სამტრედიის „ლოკომოტივმა", რომელიც ფოთში შეხვდა ადგილობრივ „მეზღვაურს". ანგარიშია 2:0 რკინიგზელთა სასარგებლოდ.

დიდი აღმავლობით ჩაატარა მატჩი ახალციხის „მესხეთთან" ყვარლის „დერუჯმა" და მიაღწია გამარჯვებას ანგარიშით 2:1.

ყაიმი 121-ე სვლაზე

გუშინ, ტალ-ბოტვინიკის შატჩრევანშის გადადებული (მე-20) პარტიის განახლებისას გამოირკვა, რომ მსოფლიო ჩემპიონს გამარჯვების შანსები უკვე აღარ ჰქონდა. მ. ბოტვინიკმა ზუსტი თამაშით 121-ე სვლაზე მიაღწია ყაიმს.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 12:8 ბოტვინიკის სასარგებლოდ და დარჩენილ ოთხ პარტიაში მას მხოლოდ ნახევარი ქულა სჭირდება მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დასაბრუნებლად.

განთიადელ წყალბურთელთა გაეარკვევა

ამას წინათ თბილისში გაიმართა შეხვედრა წყალბურთში ადგილობრივი „ბურევესტნიკისა" და „განთიადის" გუნდებს შორის. როგორც ცნობილია, ორივე კოლექტივი მიმდინარე წელს მონაწილეობას მიიღებს „ბ" ლიგის გუნდების საკავშირო გათამაშებაში, აღნიშნული შეხვედრა პრინციპიალური ხასიათის იყო, რადგან გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებდა თბილისში მოწყობილ საერთაშორისო ტურნირში.

საინტერესო თამაშის შემდეგ გენთიადელებმა (მწვრთნელი ი. ოგანი) ძლიეს თავიანთ ძლიერ მეტოქეს — 4:2.

ბ. ბაჟანოვი

მ ე ო რ ე საერთაშორისო

XI ტურში გაფრინდაშვილმა მოუგო ტიხომიროვას, ხუგაშვილს ასენოვასთან პარტიაში უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა, მაგრამ დროს გადააცილა და წაგება ჩაეთვალა. ასევე დამარცხდა კაკაბაძე თითქმის მოგებულ პარტიაში ერეტოვასთან. იაიმზე შეთანხმდნენ ჩაიკოვსკაია-ნიკოლაუ.

გადადებული პარტიების დამთავრებისას სამი გამარჯვება მოიპოვა გაფრინდაშვილმა, რომელმაც დაამარცხა ივანოვიჩი, კოზლოვსკაია და ერეტოვა. ტოგონიძემ მოუგო ლიბერტს, ჩაიკოვსკაია-ტოგონიძის პარტია ყაიმით დამთავრდა.

მე-12 პარტიაში ხუგაშვილმა პირველი დამარცხება მიაყენა ჩაიკოვსკაიას, კოზლოვსკაიამ — ლიტვინსკას. ივანოვიჩ-ერეტოვას პარტია ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.



საბჭოთა კალათბურთელები— ევროპაში უძლიერესნი

ბელგრადში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში, შეჯიბრების უკანასკნელ დღეს მოეწყო საპრიზო ადგილების პრეტენდენტი გუნდების მატჩები, მე-3-4 ადგილისათვის ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და ბულგარეთის კალათბურთელები, ბრინჯაოს მედლების მფლობელნი გახდნენ ბულგარელი სპორტსმენები, რომლებმაც მოიგეს მატჩი ანგარიშით 55:46.

როცა ბელგრადის გამოფენის დარბაზის სარბიელზე ევროპის ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩის მონაწილე გუნდები — სსრ კავშირისა და იუგოსლავიის კალათბურთელები გამოვიდნენ, დარბაზში ისეთი ხმაური იყო, რომ მთელი თამაშის განმავლობაში საჯების სასტვენის ხმა თითქმის არ ისმოდა. ეს იუგოსლაველი მაყურებლები სტვენით და ხმამაღალი შეძახილებით ამხნევებდნენ თავიანთ კალათბურთელებს.

თამაში დაიწყო მასპინძლების უპირატესობით. მე-7 წუთზე ისინი წინ იყვნენ 7, ხოლო ერთი წუთის შემდეგ — 9 ქულით. საბჭოთა კალათბურთელების თამაშში გარდატეხა შეიტანა მე-12 წუთზე მოედანზე გამოსულმა ი. კრუმინშმა. პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით — 31:27 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ.

შესვენების შემდეგ თუმცა წინ იყვნენ საბჭოთა კალათბურთელები, მაგრამ ანგარიშში განსხვავება ისე მცირე იყო, რომ გაურკვეველი იყო, თუ ვის დარჩებოდა გამარჯვება. მე-16 წუთზე საბჭოთა გუნდს თამაში მიეყავდა 7 ქულით (56:49). ერთი წუთის შემდეგ იუგოსლაველებმა ანგარიშში სხვაობა 5-მდე დაიყვანეს — 51:56. მატჩის უკანასკნელ წუთებში ი. კრუმინშმა და მ. ვალდმანისმა 2-2 საჯარიმო ტყორცნა განახორციელეს. მეტად ძნელი მატჩი მოიგეს საბჭოთა კალათბურთელებმა — 60:53.

გადამწყვეტ მატჩში „ყველაზე შედეგიანი იყო "იუგოსლაველი რ. კორაჩი, რომელმაც თავის გუნდს მისცა 24 ქულა. იგი ყველაზე შედეგიანი იყო მთელს ჩემპიონატში — 216 ქულა.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის გუნდმა ბელგრადში უკვე მეექვსედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის სახელი.

სურათზე: ევროპის ჩემპიონატის ყველაზე მაღალი კალათბურთელი, საბჭოთა სპორტსმენი ი. კრუმინში უტევს მეტოქის ფარს.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 57 (1693)

კროსვორდი

ვერტიკალურად

1. ცნობილი ქართველი კალათაურთელი, 2. სპორტული ნაგებობა, 3. საჭადრაკო ფიგურა, 4. მოფარიკავეთა ინვენტარი, 5. ქართული ნაციონალური სპორტის სახეობა, 6. მსროლელის ინვენტარი, 8. კავკასიონის ერთ-ერთი მწვერვალი, 10. ტანვარჯიშული იარაღი, 11. საახპარეზო ადგილი, 12. სპორტული იარაღი, 13. ქართული ნაციონალური სპორტის სახეობა, 16. ყვავილი.

ჰორიზონტალურად

2. ველოსტადიონი, 5. სპორტული ნადავლი, 7. ქართველი ფეხბურთელი, 9. ქართული ნაციონალური სპორტის სახეობა, 11. სპორტული ტერმინი, 12. სპორტული ინვენტარი, 14. მძლეოსნური იარაღი, 15. სპორტული ინვენტარი, 17. შეჯიბრების ადგილი, 18. საჭადრაკო ფიგურა.

შეადგინა ა. ბარნოვმა.



„ასტონ ვილა“ გვეწვევა თბილისში

14 მაისს თბილისში ითამაშებს ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი „ასტონ ვილა“ (ქ. ბირმინჰამი). ესაა დიდი ტრადიციების მქონე კლუბი, რომელსაც ბრწყინვალე გამარჯვებებიც ახსოვს და სერიოზული ჩავარდნებიც. „ასტონ ვილა“ 6-ჯერ იყო ინგლისის ჩემპიონი და 7-ჯერ თასის მფლობელი. ამასთან დიდი ხნის წინათ 1896 წელს გუნდმა „დუბლი“ გაიკეთა — ჩემპიონიც გახდა და თასის მფლობელიც. გუნდის უკანასკნელი დიდი წარმატება იყო თასის მოპოვება 1957 წელს, როცა ბირმინჰამელებმა ფინალში დაამარცხეს იმ დროს ინგლისის უძლიერესი კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი“. ამის შემდეგ „ასტონ ვილას“ დიდი მარცხი მოუვიდა და იძულებული გახდა დაეტოვებინა პირველი ლიგა. 1959-60 წლებში გუნდმა გაიმარჯვა მეორე ლიგის გათამაშებაში და კვლავ დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას.

თუ გადავხედავთ ინგლისის 1960-61 წლების ჩემპიონატის ცხრილს, თვალში გვეცემა ერთი გარემოება — „ასტონ ვილა“ ან დიდი ანგარიშით იგებს, ან დიდი ანგარიშით მარცხდება, საერთოდ კი გუნდმა სეზონი საკმაოდ კარგად ჩაატარა. მართალია, იგი მონაწილეობას არ იღებდა ჩემპიონობისათვის ბრძოლაში, მაგრამ პირველი ათეული არც ერთხელ არ დაუტოვებია. გუნდმა 43 ქულით დაიკავა IX ადგილი.

„ასტონ ვილა“ თვით ინგლისის გუნდებშიც კი გამოირჩევა მეტისმეტად მკვეთრი, ძალისმიერი თამაშით, ბირმინჰამელთა ფიზიკური მომზადება საუცხოოა. ინგლისელ მიმოხილველთა აზრით, ბირმინჰამელთა თამაშის დროს შესამჩნევია დაცვის სისუსტე და თავდასხმის სიძლიერე.

„ასტონ ვილას“ კარს მრავალი წლის მანძილზე იცავს მეტად არათანაბრად მოთამაშე სიმსი და მის განწყობილებაზე დიდადაა დამოკიდებული გუნდის წარმატება. სწორედ ამიტომ დაიყოლიეს „ასტონ ვილას“ ხელმძღვანელებმა „ვულვერჰემპტონის“ მენეჯერი კელსი, დაეთმო მეორე მეკარე საიდბოტომი. ამჟამად სიმსი და საიდბოტომი მორიგეობით იცავენ „ასტონ ვილას“ კარს.

დაცვის სისუსტის გამო გუნდის ხელმძღვანელობა ამ ხაზზე სისტემატიურად აწარმოებს ექსპერიმენტებს, რასაც ჯერჯერობით არ მოჰყოლია წარმატება დაცვის სისუსტის ერთგვარ კომპენსირებას ახდენენ ძლიერი ნახევარმცველები კროუვი და ტომპსონი. ისინი მოქმედებენ დიდ რადიუსზე, აქვთ ჩინებული ტექნიკა, გადაცემები.

როცა „ასტონ ვილა“ თავს იცავს, უკან იხევენ მაკივანი (№ 7), ონელილი (№ 8) და უაილი (№ 10). თავდასხმა ჩინებულადაა შეთამაშებული. აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საერთაშორისო კლასის ფორვარდად ცნობილი მაკპარლანდი (№ 11). მან დიდი სახელი მოიხვეჭა მსოფლიოს VI ჩემპიონატში, სადაც ჩრ. ირლანდიის ნაკრების სახელს იცავდა. მარცხენა გარემარბს საუცხოო ტექნიკა და ძლიერი დარტყმა აქვს. იგი არ კმაყოფილდება თავის ფრთაზე თამაშით, სისტემატურად შედის ცენტრში და ემუქრება კარს. მაკპარლანდი ბირმინჰამელთა ყველაზე უფრო შედეგიანი ფორვარდია. ცენტრფორვარდი პიტჩენსი ბევრს მუშაობს, გაბედულად იბრძვის ბურთისათვის, აქვს ძლიერი დარტყმა და საკმაოდ მაღალი ტექნიკა. საერთოდ, „ასტონ ვილას“ თავდასხმა პირველხარისხოვან ანსამბლს წარმოადგენს.

ბ. ბავრეკელი

45 წლის ერთმანეთგ ბირმინჰამელ

საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში დიდი ხანია ცნობილია ფაქტი ინგლისური ფეხბურთის ისტორიიდან. ამ ქვეყნის ჩემპიონობისა და თასის მოგება ერთდროულად შეძლო მხოლოდ ორმა გუნდმა — „პრესტონმა“ და „ასტონ ვილამ“ და ორივე ეს შემთხვევა ეკუთვნის XIX საუკუნეს. პირველად „დუბლი“ გაიკეთა „პრესტონმა“ 1889 წელს, ხოლო მეორედ — „ასტონ ვილამ“ 1896 წელს.

და აი, 1961 წელს, ზუსტად 45 წლის შემდეგ, გაკეთდა კიდევ ერთი „დუბლი“. მისი ავტორია ლონდონის გუნდი „ტოტენჰემ ჰოტსპური“, რომელმაც თასის ფინალში ანგარიშით 2:0 დაამარცხა „ლესლესტერ სიტი“.

ფეხბურთის ქრონიკა

გაიმართა მორიგი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობის ფეხბურთში, რომელმაც გამოავლინა ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მეოთხე მონაწილე.

ჯგუფში, სადაც გაერთიანებულნი არიან კოლუმბიისა და პერუს გუნდები, პირველი მატჩი შედგა ბოგოტაში. კოლუმბიელებმა უდრესად მწვავე ბრძოლის შემდეგ შეძლეს გამარჯვების მოპოვება მინიმალური ანგარიშით — 1:0. განმეორებითი მატჩი პერუელებმა ჩაატარეს თავიანთ დედაქალაქ ლიმაში და მიაღწიეს მხოლოდ ფრეს — 1:1.

კოლუმბიის ფეხბურთელებმა მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება.

შესარჩევი მატჩი შედგა აგრეთვე შოტლანდიისა და ირლანდიის გუნდებს შორის. შოტლანდიელებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით 3:0.

ახალი მსოფლიო რეკორდი

ტელ-ავივი. ისრაელის დედაქალაქში გაიმართა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება სიმძიმეების აწევაში.

წარმატებას მიაღწია ცნობილმა ამერიკელმა შტანგისტმა ი. ბერგერმა, რომელმაც ქვემსუბუქ წონაში აიკრა 148,5 კილოგრამი, რაც 1 კილოგრამით აღემატება მისივე ძველ მსოფლიო რეკორდს.

ზღვა და ციხეკარა

ამას წინათ ბათუმის ქუჩებში გამოჩნდა უჩვეულო აფიშები, რომლებიც იტყობინებოდნენ, რომ 27-30 აპრილს მთა ციხეკარაზე, აჭარის სპორტკავშირი აწყობს მოთხილამურეთა შეჯიბრებას.

ბათუმში ახლა ცხელა. პლაჟი სავსეა მობანავეებით და ამ დროს ქალაქიდან 23 კილომეტრზე მაუურებლებს სთავაზობენ საინტერესო შეჯიბრებას სათხილამურო სპორტში.

შეჯიბრების დღისათვის ციხეკარას ეწვივნენ არა მარტო აჭარის სპორტის მოყვარულები, არამედ ბათუმში მყოფი „ბურევესტნიკის“ მძლეოსნები, ტურისტები.

პირველ დღეს გაიმართა რბენა ქალთათვის 3 და ვაჟთათვის 15 კილომეტრზე. ქალთა შეჯიბრებაში აშკარა იყო „განთიადის“ სპორტსმენთა უპირატესობა. პირველობა მოიპოვა ვ. იურკინამ. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ მისი თანაგუნდელები ნ. ოგანეზოვა და გ. ლოპინა. ვაჟთა შორის ყველა საპრიზო ადგილები წილად ხვდათ შუახევის რაიონის მოთხილამურეებს, რომელთა შორის უძლიერესი იყო ა. პეჩკარკინი.

შეჯიბრების „მეორე დღე დაეთმო ესტაფეტებს. ქალთა შორის რბენა 3×5 კმ მოიგეს „განთიადის“ მოთხილამურეებმა. ვაჟთა შორის (4×10 კმ) უძლიერესი აღმოჩნდა შუახევის რაიონის გუნდი.

უკანასკნელ დღეს ბრძოლაში ჩაებნენ სლალომისტები და სწრაფდაშვების მონაწილენი. სლალომი მოიგო განთიადელმა ვ. გეგონდიანმა მას მცირე დროით ჩამორჩა თანაგუნდელი ს. კილურაძე. სწრაფდაშვებაში უძლიერესი იყო ა. ფოკასი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: I — „განთიადი“ (ბათუმი), II — შუახევის რაიონი, III — ქედის რაიონი.

ე. ფანტურია

სურათზე: აჭარის კონტრასტები. ზევით — ბათუმის პლაჟი, ქვევით — ციხეკარაზე მოთხილამურეები.

სოფიელები ტაშს უკრავენ „გრემიოს“

ბულგარეთში საგასტროლოდ ჩავიდა ბრაზილიის ერთ-ერთი შტატის ჩემპიონი „გრემიო“, რომლის შემადგენლობაში არც ერთი ცნობილი „ვარსკვლავი“ არაა. ბრაზილიელთა წინააღმდეგ თამაშობდა ბულგარეთის მრავალგზის ჩემპიონი და მიმდინარე გათამაშების ლიდერი — **ცდნა**, რომელიც მკირედით განსხვავდება ეროვნული ნაკრებისაგან.

თამაშის შედეგი ეეშმარიტად სენსაციური იყო. **ცდნა**, რომელიც ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო ტექნიკურ გუნდად ითვლება, სწორედ ამ სფეროში სრულიად უმწეოდ გამოიყურებოდა ბრაზილიელთა წინაშე. ანგარიში 5:1 ბრაზილიელთა სასარგებლოდ ბულგარელ მიმომხილველებს კანონზომიერად მიაჩნიათ.

ორი დღის შემდეგ „გრემიოს“ წინააღმდეგ თამაშობდა ბულგარეთის ნაკრები. და მწვრთნელმა ორმანჯიევმა კარგად გაითვალისწინა წინა მატჩის გაკვეთილები. ბულგარელი მცველები ფეხზეც დარაჯობდნენ ბრაზილიელებს. მასპინძლებმა გაიმარჯვეს კიდევ ანგარიშით 2:1.

რედაქტორი ი. უგულავა.

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

14 მაისს

საერთაშორისო შეხვედრა

ფეხბურთში „ასტონ ვილა“ (ბირმინჰამი) — „დინამო“ (თბილისი)

დასაწყისი 18 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01015